

ფანი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუსხური ვარიანტი 7 კაპ. წლიური ხელის მოწირულებს გახუტული ნაწილწილით გადაიხდის. ხელის მოწირის დროს 3 მ., დანახვენი უფრო მეტი გახდება. ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდულ სტრიქონზე 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრიტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამკვლევარო განცხადებებს დაბეჭდა თითოჯერ ნაშუადღევს 2 სათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

„სამშობლო დედის ძუძუთ, არ გაიცვლების სხვაზედა, ორივე ტკბილია ძმობილო, მიჩვენის ორსავე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

უზომო მწუხარებაში მყოფი კნენა ნინო გიორგის ასული გელოვანისა, კოსტანტინე და პლატონ ლევანის ძენი გელოვანები მეუღლეებით, ერთადლი ვაჟებისა და გიგა (გრაფი) გელოვანისა შვილებით აუწყებენ ნათესავეთა და მეგობარ-ნაცნობთ, რომ 22-ს ამა თებერვალს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველის ქმარი, მეორე და მესამეის ძმა, მეოთხეის ძმისწული და უკანასკნელი ბიძაშვილი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი

თ-დი ვარლამ (კუჭიკო) ლევანის ძე გელოვანი,

რომელსაც მოასვენებენ თბილისიდან დღეს, ხუთშაბათს დილით 26 თებერვალს, ქუთაისის სადგურზე. გამოსვენება სადგურიდან იმავე დღეს ნაშუადღ. 1 საათზე, საკათედრო ტაძარში. და შემდეგ წირვა-ძაპანაშვილისა, ორ საათზე, წასვენებენ ლეჩხუმში ს. სპათაგორს, ხოლო დაკრძალვა საგვარეულო სასაფლაოში ახალქალაქის 1-ს მარტს, დილით კვირას.

4-2-78

ქუთაისის გოსკოპის ფირმის ქუთაისის ვინაის ქ., საკუთ. სასლი.

ამს-გა ან. უფლოვი & ი. პავილოვი-ს

სამანიფაქტურო მალაზიაში მიღებული და იყიდება დიდალი ასარჩევი ახალ-მოღის საქონელი, აბრეშუმის ღებ, შალის ღებ, შაშვლის ღებ და ა. შ. აბრეშუმის ღებ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კასტიუმებისათვის:

„სამადალი-შორონი“ „ქრამ-აბრეშინი“ და „ქობლე-ნოვალი“ განსაკუთრებით:

„უბი-რენი“ და „უბი-შიკ“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროზორიის ტრიოზორი მანუფაქტურის ნაწარმოები. **ფასები უმუხარბოდათ**

ლიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მალაზიას მოუვიდა გასაყიდათ

ნ. ს. ჯორჯიანი შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теории права“
Проф. Л. И. Петрожецаго. ფასი 6 შაური თ.

გ ა მ რ ვ ი დ ა და ი ა ი დ ი ა

ქუთაისის ვეფხე წიგნის მალაზიაში

თხზულებანი ჯაჭუ ჯორჯიანის.

ფასი 60 კაპ.

გაზეთი „შრომის“ რედაქცია საზოგადოებისა და ხელმძღვრთა საუკრებოთა აცხადებს, რომ სხვადასხვა მიზეზებისა გამო დროებით შეჩერდა როგორც უოველდღიური, ისე უოველკვირეული „შრომის“ გამოცემა.

ახლო მომავალში რედაქცია უსათუოდ განახლებს განხილვის გამოცემებს და ხელისმძღვრლებიც ჩვეულებრივად მიიღებენ.

უფ. 3-3 პატივისცემით „შრომის“ რედაქცია.

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მწარე მიწაზე განდილი, იყიდება ზომიერ ფასით, იკითხეთ კ. ოცხვლის წიგნის მალაზიაში ქუთაისში.

უდიდესი სამცხალური წიგნის მალაზია

კ. ი. ოცხვლის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხვლისა და ამხ. წიგნის მალაზიაში მოაოგება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტიკული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშვო და მრავალი სხვა. აგრეთვე ძაღვინდობის 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საეტიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის პარტამი დაწყებული მ მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია ცნობილი საბაზოვლარო მალაზია დ. ი. ოცხვლისა, სადაც მოაოგება ყველაწიერი სამოსწავლო საკანცელარო წიგნები.

— კ ა ბ ა ლ რ ა ბ ა ი ი უ ფ ა ს ო თ —

ყოველი მებარეშემესათვის ცნობილი ფირმის

ამათა პასხალიძის

ამბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკი-ფორა მ. ჯანელიძის მალაზიაში; ბათუმსა და ჭიანჭყალიში მ. ს. მანუილიძის კანტორაში ხელსაყრელ ფასით. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

კილის მინერალური და ტრუზა-მიკრონი. ნოვა, დროებით ბათუმთან გადმოვიდნ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალვის თეთრის ფაბრიკის გვერდში. ავთომობილებს და მანქანებს 9-1 და საღამოს 4-6. არჩენენ ავთომობილებს კიბილებისა და ღრძილებისა. ავთომობილებს და ღრძილებისა. ავთომობილებს და ღრძილებისა. ავთომობილებს და ღრძილებისა.

ექიმი ბაბრიელ იოს. გორიძის ელმობრონისა და სინათლის კაბინები. შინაგანი ნევრებისა და გვერდულ ავთომობილების მიღება დილის 9-12 საათ. საღ. 9-8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩაბაძონი ქალაქის საავთომობილო ორდინატორი. განახლა კანის, გვერდულ და სინათლის ავთომობილების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12-2 საათ. საღამ. 6-8 საათ. მისამართი: ლევაშვილის ქუჩა, ალბერტის სახლი.

ქუთაისის ქალაქის თეატრი

ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ კვირას, 1 მარტს, **მალ. შალიკაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა **დავით კლდიაშვილისა.**

1. **უბედურება**
სურათი ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან, ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები.

2. **პირველად ორიგინალური პიესა კონ. ანდრონიას.**

სიზმარი კოშკში

1 მოქმედებიანი.

3. **ბუტიკობა**
ორიგინალური კომედია აკაკი წერეთლისა

1. მოქმედებიანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ადგილების ფასი საბუნებისა**

ანონსი: მხადლება წარმოდგენად: ოდიშოს შეფე, იუდა ისკარიოტელი.

პარასკევს, 27 იანვარს, 1915 წ. ქალაქის თეატრში, ღამით, **ძიბა აბაშიძის** თაჯდოვარობით, **ალექსანდრე შანაშაიძის** ახალი დრამატული პოემა

„ქალი გრძნეული“

შესებე გამართება საუბარი, რომელშიც მონაწილეობს მიიღებენ (ანბანის რიგით): კ. ანდრონიკაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. გაბუნია, გ. გიორგაძე, შ. დიანი, ია. ევალაძე, ტიტე მარგველაშვილი, გ. ლალიძე, ს. რობაქიძე, დ. უზნაძე, ა. ფალავა. იაკობ ფანცხვა, ილია ჩიქოვანი, ალ. ჯანელიძე, ტ. ჯაფარიძე. საუბრის დაწყებამდე პოემის წაიკითხავს აკაკი ფალავა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

P. S. ყველა დასწრეს მიეცემა ორი ფურცელი ქალაქი; მათ შორის: მოწონების და მეორე დაწვინების გამოხატვითი. ამ ბარათებს დასვენების დროს საგანგებო ყურებში ჩაუშვებენ და საღამოს დასასრულ გამოცხადდება რამდენმა მოიწონა და რამდენმა დაიწუნა პოემა.

ქალნი და ვაჟნი ცალცალკე აძღვევენ ხმას.

ო მ ი. აჭარის მთები.

(საკუთარის კორმსკონდენსაზან).

1. პათუმიდან აჭარის წყალმდე.

რვა თებერვალს, როდესაც თფილისში აკაკის დაკრძალვა ხდებოდა და მთელი საქართველოს თვალი და ყური მთაწმინდას მისჩერებოდა, ბათუმში, ქალაქის ბოლოს, ართვინის შარაზე, საყურადღებო ამბები ხდებოდა. ამ დღეს პირველად გადიოდა ბრძოლის ველზედ ქართულ დრუჟინების პირველი რაზმი. მუსიკა უკრავდა ქართულ მარშს, რაზმები მიდიოდნ მწყობრად. ართვინის შარა სავსე იყო საბარგო ურბებით, გამოკლებლებით.

სამი დღის შემდეგ პოზიციებიც გაეგზავნენ დრუჟინების დანარჩენი ნაწილები.

მე გავივი მოწინავე გუნდს, რომელსაც დაველბული ჰქონდა ა. წ-ზედ მისვლა და რაზმისთვის ბინების შოვნა. მივიდოდით ცხენებით, იერიშით, რათა დროზედ ჩავსულიყავით დანიშნულ ადგილას. ამინდი მშვენიერი იყო. რამდენიმე ვერსის შემდეგ გამოჩნდა ქორი. ნავედრევის შემდეგ ადიდებულიყო და მღვრიე ფერი ჰქონდა. გავიარეთ ვაკე ადგილიც, ერთად ერთი, რომელიც კი მოიპოვება მთელს აჭარაში და მალე ჩვენ თვალს წინ აჭარის მთები აიპართენ. პირი პირველი ვახუშტის სუნი იყო სასვე და არაფერი არ მოასწავებდა იმას, რომ მივიდოდით ომის ქვეყანას, სადაც სისხლი იღვრებოდა.

მაგრამ აი, გამოჩნდა პირველი სოფელი. იგი იდგა ქორიხის იქითა ნაპირის და როგორც აჭარის ყველა სოფელი ბატარა და ფერდობზედ გაშენებული, პირველი მაჩვენებელი იყო საერთო მდგომარეობისა, არც ერთი სულაქი შიგ, არავითარი კვამლი ბუხარში. იქვე ქორიხის მთებში, ლევი ეგლო, იქნება აღმართისა, იქნება პირუტყვისა. წყლისაგან გაბანილი სხეული მზის სხივებზედ ღალაპებდა და შავი ყვავი, რომელიც კორტილია მას, ამ წუთში ომის ღმერთის არსების გამოხატვითი იყო.

ეს იყო პირველი „საშინელი“ სურათი, რომლითაც დაიწყო ქორიხის ხეობა. სიმრავლე ქორიხში მოტივტივეა, ან და გარიყულ ნავეებს, რომლის საშუალებით დაიარებოდნენ ერთმანეთში, წყალ გაღმა და წყალ გამოღმა მცხოვრებლები, აშკარათ ამტკიცებდნენ, რომ ისინი უკვე არავისთვის საჭირო აღარ იყვნენ. ისინი ჩამოტანა ადიდებულ წყალს შორ ხეობიდან და დიდი ხანია აღარ ენახათ, არც თავისი პატრონი-მეზარნეები, არც მგზავრები, რომლებსაც ზიდავდნენ ქორიხის ნაპირებიდან.

მალე გზა ვიწრო ხეობაში შევიდა და ქორიხის უკვე ზვიდან დავსცქეროდით. საბარგო ურბები, მოსრილავ ავტომობილები, ერთმანეთში ირეოდნენ. შედარებით ვიწრო შარა და მიხვეულ-მოხვეული ადგილები ხშირათ ისეთ სურათს ბადებდნენ, რომ კაცი იფიქრებდა, აი, ეს არის გზა გათავდა და უფსკრულში უნდა გადასცვივდეთო. მაგრამ ჩვენს თვალწინ გზა კვლავ იშლებოდა და სხვა ახალ სურათებს ბადებდა.

აგერ მიიზღაზნება დატვირთული საბარგო ურბები, იქ კი გზის პირას, მალაღ და ვიწრო კონცხზედ დარაჯი სდგას. ელვასავით ჩავიარბინა ავტომობილი. შიგ იჯდა გვერდით, მის გვერდით გამოჩნდა ქალაქი თავი რუსის გვერდით ი—სა.

სად მივშურება ეს მოხუცი მწერალი? უნებლიეთ ფიქრობთ თქვენ. ეძებს ფაბულას თავის მოთარბობისათვის მის ქვეყანაში, თუ მოიტანა თბილი რამ ჩასაცმელი მეომრებისთვის?

გზაზე აფიქერი წამოგვეწია.

— აი, აქ ისვენებენ ოსმალები.

იმერის ხელს მახლობელ ადგილისკენ.

— ნუ თუ? მეგრ ხომ აქედან ბათუმშიის თთი ვერსიც არ არის?!

— რას იზავთ. სამაგიეროთ ეხლოა კარგა შორს არიან.

მზე საგრძნობლათ გვეწავს, ჩვენ იერიშით მივალთ. ჩვენს უკან მშვენიერი სურათია, იქ ქორიხის შეკრთავთან, თერთმეტი ვერსის მანძილზედ, ამ ვიწრო ხეობიდან შავი ზღვა მოსჩანს.

დაწყებულულ ზღვაზედ ჩვენი ნაღობის ნები მოჩანდნენ. იმათ იქით ზღვის სავცე იშლებოდა, რომლის მიჯნებს, თბილი ვერ პოულობდა. ჩვენ შევუვართ მარჯვნივ და ქორიხის ხეობაში სამოღა

დღის რამობა.

დასავლეთის ასპარეზი.

სუბსიდი და პეტრის შუამდგომლობა ტყეში ფრანგებმა 450 მეტრით წინ წაიწიეს და გერმანელებს ბრძოლის ხაზი ორასი მეტრის მანძილზე დაიკავეს.

მენილის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფრანგებმა ერთი სიმაგრე დაიკავეს გერმანელებისა და აიღეს სიმაგრეს იქით მდებარე მდლობი. დანგრეეს ერთი ბლოკ-გაუზი.

გერმანიის წყალქვეშა ნავი „Y 20“ ინგლისის ნაღმოსანმა დასძირა.

გერმანია ჰაერობრძობებს ამზადებს.

რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

ორციქვის ნაპირის გასწვრივ გერმანელებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი.

მთა ჩაკეტა კარები. აღარ სჩანდა არც ზღვა, არც ვაკე, არც ბათუმის ქალაქები.

ჩვენს წინ იმდროინდელ აქარის მთები, რომელზედაც ალაგ-ალაგ თავი იფენა. (მ. აბ-ბი.)

დუნაიცხე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. კარპატებში ავსტრიელებს განუწყვეტლივ უშედეგო იერიშები მოაქვთ.

კავკასიის ასპარეზი. ქორთხის რაიონში შეთანხმებული ცვლილება არ მომხდარა. აღკრებიჯანის მხარეზე ოსმალებს წავარდებით ორი ზარბაზანი და წაშლიანი ყუთები.

დარდანელთან. დარდანელთან ბრძოლაში ინგლისის ზარბაზნი: 25 მოკლ., 28 დაჭრილი და 3 უკვალოთ დაკარგული.

ინგლისის დავლება სკაბროროში ნაღმით გემები „ტენსტანი“, „გასტინგთან“ — „ბლესკვილი“; ლივგრუპში — „პრინცი-სა ვიკტორია“.

დარდანელთან. ლანდონი. 25 თებერვალი. ოფიციალური. დარდანელთან ბრძოლაში ინგლისელებს დაუკარგავთ 25 მოკლური, 28 დაჭრილი და სამი უკვალოთ დაკარგული.

ინგლისის გემების დაღუპვა. ლონდონი. 25 თებერვალი. საადმი რალო იუწყება, სკაბროროში ნაღმით დაღუპა ინგლისის გემი „ტენსტანი“ კომანდის 28 კაციდან ვადარჩა მხოლოდ ერთი: გასტინგთან ნაღმი ჩაიძირა. ინგლისის გემი „ბლესკვილი“. კომანდა ვადარჩა. ლივგრუპში ნაღმით ჩაიძირა ინგლისის გემი „პრინცი-სა ვიკტორია“, კომანდა ვადარჩა. გემები ჩაიძირა სამშაბათს დღით.

პარიზი. 24 თებერვალი. სტენსტრეტის აღმოსავლეთით ჩვენ მტრის იერიში მოვიგრეთ. არასას ჩრდილოეთით კოტრადმდედრთან ბრძოლა მთელი დღე გრძელდებოდა, რამაც მტრის მდგომარეობა ვერ შესცვალა. შაპანიში შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებდა. სუბსიდი და პეტრის შუამდგომლობა ტყეში ჩვენ გავმარდით და მტრის ორი შეუპოვარი იერიში მოვიგრეთ. ჩვენ 450 მეტრით წინ წავიწიეთ. გერმანელების სიმაგრე დაეჭირეთ, ერთი რევილვერი, სამი ტყვიის მტყარცნელი და ტყვიები ვიხელეთ, დავიჭირეთ აგრეთვე მტრის ბევრი ხხრილი და გერმანელების ბრძოლის ხაზი ორასი მეტრის მანძილზე.

სხვა და სხვა ამბები.

პარიზი 23 თებერვალი. დეპუტატთა პალატის საბიუჯეტო კომისიამ ერხმით მიიღო კანონპროექტი, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ სესხის აღებაში მიეცეს საფრანგეთს ავანსოთ ფული.

სტოკჰოლმი. 24 თებერვალი. ბერლინიდან იტყობინებინ, რომ პრუსიის ლანდტაგმა სახელმწიფოს აღწერილობა მიიღო. სოციალისტები წინააღმდეგი იყვნენ. პოლონეთისა და დანიის დეპუტატებმა ხმის მიცემაზე უარი განაცხადეს.

ათინა. 24 თებერვალი. ახალ კაბინეტში, რომელიც მეფემ დამტკიცა შემდეგი მინისტრები შედიან: — მინისტრ-პრეზიდენტი გუზარისი, სახელო მინისტრი — ხრისტაკისი, გარეშე საქმეთა მინისტრი — ზოგრაფუსი, გზათა მინისტრი — ბალტაჯინი, განათლების მინისტრი — ვოციკისი, ფინანსის მინისტრი — ტრიანტა, შინაგან საქმეთა მინისტრი — ეიტაკისისი, ვაჭრობის მინისტრი — სალტაისი და იუსტიციის მინისტრი — სტრატი.

ვარშავა. 24 თებერვალი. ჰესპანიის საელჩომ ბერლინში ადგილობრივ ჰესპანიის საელჩოს წინადადება მისცა პოლონეთის სამეფოში კორესპონდენციების გზავნა შეწყვიტოს, რადგანაც პრუსიის მთავრობა კორესპონდენციებს არ უშვებს. ჰესპანიის საელჩო ცდილობს, რომ ეს საკითხი გამოიკვდეს.

ლონდონი. 25 თებერვალი. ოფიციალური მოხსენება ფედერალურ ფრენჩის. ინგლისის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. ჩვენ უწინდებურად ვებრძოდით მტრის საუკეთესო მსროლებლებს ლაბასეს ახლოს. იზრისა და სხვა რიონებში ბრძოლა ხდება, რომელიც ჩვენ სასარგებლოთ მიმდინარეობს.

ვასილკოვი. (კიევ გუბერ). საოლქო სასამართლოში დაიწყო გარჩევა გონჩარუკის საქმის, რომელსაც ბრალდება ებრაელის ბავშვის პასიკოვს, ზღვრეტ სხელითა პაუკოვის მოკვლა.

პეტროგრადი. ოლქის მზრუნველთა თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელითაც კერძო სასწავლებლების გამოკვლევას სახელმწიფოში უნდა მიეჭეს ყურადღება. მთავრობამ ამ საქმეს მხარი უნდა დაუჭიროს და იმ სასწავლებლებს, რომელიც გამოიჩინეს უნარსა და სიყვავილეს, დაენიშნოს მთავრობისგან ფულით დახმარება.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისის და პოლონეთის ახრო-ნოში. პარლამენტალურ ორგანოში თემთა პალატის წევრის კინგის შეკითხვებზე გრეისის პასუხა წერილი იყო გამოქვეყნებული შესახებ იმისა, აცნობეს თუ არა რუსეთის მოკავშირეებს, ე. ი. საფრანგეთსა და ინგლისს მთავარ-სარდლის მოწოდება შეერთებულ პოლონეთის ავტონომიის დასამყარებლათ და მოიწონეს თუ არა მათ ასეთი მოწოდება.

გრეისის პასუხაში ნათქვამია: მოწოდება გამოქვეყნდა და, ვფიქრობ, რომ ინგლისში ეს საკითხი თანაგრძნობას გამოიწვევს.

სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებინ, რომ საბერძნეთის ომში ჩარევა აუცილებელია.

ამერიკიდან დაბრუნებულ იტალიის გემიდან ინგლისელებმა გერმანელები ჩამოსხეს ვენეციულის ბაზოროთებით და მოხსნეს სპონდონი და ალიუმინია.

დაზიანებული კრეისერი „ბრესლაუ“ ბოსფორში სდას და ზღვაზე ვერ გამოსულა.

ვენიდან დეპუტატ იტყობინებინ, ოსმალეთის ფინანსის მინისტრათ ნამყოფმა ჯავიდ-ბეიმ ბერლინსა და ვენაში მოგზაურობის დროს გახტო „ნ. ფრ. პრ.“-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ სრულტეები ძალიან გამაგრებულია. ერთ-ერთი ფორტის აღებას არავითარი ნაყოფი არ ექნება. ოსმალეთს დიდი ჯარი ჰყავს დამზადებული, რომელიც დესანტის მოსახლენათ მტრის ყველა ცდას შეზობაკავს.

იტალიის სოციალ-რეფორმისტები.

ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილების შესახებ იტალიის სოციალისტ-რეფორმისტებმა რეზოლუცია გამოიტანეს, რომელშიც სამთა შეთანხმების სასარგებლოთ ომში ჩარევის აუცილებლობას გამოთქვამენ.

პარლამენტის სოციალისტურ ჯგუფებისა, სხვადასხვა სექციისა და იტალიის სოციალისტ-რეფორმისტების პარტიის წარმომადგენლები ბენდინერი არიან, რომ ლონდონში სოციალისტებმა კონფერენციამ, რომელშიც მოკავშირე სახელმწიფოთა სოციალისტები მონაწილეობას იღებდნენ, ალიარა, რომ გერმანიის იმპერიალიზმის გამარჯვება ევროპის დემოკრატიისა და თავისუფლების მოსპობის თანაბარი იქნებოდა, ასე რომ, ასეთი გამარჯვების წინააღმდეგ გალაშქრება, როგორც ლონდონის კონფერენციამ გამოთქვა, მომავალში ევროპის შეერთებულ შტატების სამშვიდობო ფედერაციის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას წარმოადგენს.

პარლამენტის სოც. ჯგუფი სოც.-რეფორმისტებთან ერთად იმავე დროს აცხადებს, რომ სოც.-რეფორმისტების მოღვაწეობა, რომლითაც იტალიის აიძულდნენ

ნეიტრალურ მდგომარეობად გამოვიდნენ, რადგანაც მისი ნეიტრალობა გერმანიის მილიტარიზმს ხელს შეწყობდა. ენჯინერ ნახევი არა მარტო ავსტრიის იტალიის პროვინციების განთავსების სურვილით, რომელსაც ეროვნული პრინციპი მოითხოვს და რომელიც ლონდონის კონფერენციამაც დამოუწმა, — არამედ იმ სურვილითაც, რომ შემუშავდნენ ისეთი პირობები, რომელიც მილიტარიზმის უღლიდან განთავისუფლებულ ხალხთა შორის შეთანხმება-მოორიგებას მკვიდრ ნიადაგზე დაამყარებდა.

ამისდა მიუხედავად პარლამენტის სოც. ჯგუფმა და პარტიის ხელმძღვანელებმა ლონდონში თავმოყრილ პარტიებს უსურვეს ინტერნაციონალიზმის განახლება და გამოსთქვამენ იმდენ, რომ იტალიის მუშები, აღფრთოვანებულნი თავისი იდეალებით, ხალხის თავისუფლებისთვის თავგანწრულათ იბრძობდნენ.

შეერთებულ შტატების პრესის განმარტება ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გერმანიის დასაბრუნების შესახებ მოკავშირეთა სასარგებლოთ კარგს არაფერს ამბობს. გაზეთები თუ აქამდის მოკავშირეთ თანაგრძნობით ეყიდებოდნენ, ელა აცხადებენ, რომ მოკავშირეებმა გერმანიის მავალითს წაშაძესო. ინგლისის გაზეთების კორესპონდენტები უმატებენ, რომ მათი ასეთი უქმყოფილება ყურადღების ღირსი არ არისო. ინგლისის პრესა ამასთან შეერთებულ შტატებს სამოქალაქო ომის დროის ჩრდილოეთის მოქმედების მოავონებს.

გერმანია ჰაერობრძობებს ამზადებდა. ჰაერობრძობა ახალ-გაზღვებს ათასობით ავარჯიშებენ.

დეკემბერი.

პეტროგრადის დეპ. საკენცთსაკან. რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 25 თებერვალი. ოფიციალური უმალღესი მთავარ სარდლის შტაბისაგან: სუვალის რაიონში თავდასხმას განვაგრძობთ. სინისა და კრანსობოლის ახლოს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა გერმანელების ორასზე მეტი ჯარისკაცი. 23-სა და 24 თებერვლის მტერი ოსოვეცს 12 დიუმიან ყუმბარებს უშენდა. ნარევის მაჯგენა მხარეზე დიდი ბრძოლა სწარმოებს. ხორეულედან პრას-ნიშამი და მდინარე ორციქვის ნაპირის გასწვრივ მტრმა ჩვენ წინააღმდეგ დაყენა დიდძალი ჯარი, რომელიც გერმანიიდან, და გროდნოს რაიონიდან მოვიდა.

ვისლის მარცხენა მხარეზე, პილიცას რაიონში ჩვენი კონტრიერისეები წარმატებით სწარმოებს, მიუხედავად იმის, რომ მტრის აქ დიდძალი ჯარი ყავს. იერიშების დროს ტყვეთ წამოიყვანეთ რამდენიმე ასი კაცი და ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები. ლოპჩინოსთან გერმანელების იერიში მოვიგრეთ გერმანელებისგან მოტანილი. დუნაისზე სასტიკი საარტილერიო ბრძოლა ხდება. კარპატებში ავსტრიელებმა ჩვენზე ბევრი იერიში მოიტანეს. ბრძოლა სწარმოებდა თითქმის მთელ ფრონტზე, უოკოდან — გორლი-ცემდს, მაგრამ ყველგან დიდი ზარალით უკუვაგდეთ. აღმოსავლეთ გალიციაში შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან: ქორთხის გაღმა რაიონში 24 თებერვალს ჩვენ ოსმალებს წავართვით ორი ზარბაზანი, აღერბეიჯანის მხარეზე, დილმანთან ბრძოლის დროს ჩვენ ოსმალებს წავართვით ერთი ზარბაზანი და სამი წამლიანი ყუთი. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 25 თებერვალი. ოფიციალური ცნობა. არასის ჩრდილოეთით, ნოტრ-დამისა და დე-ლორეტის რაიონში დამემწყნარათ ჩაარა. აქ მდგომარეობა თითქმის უცვლელია. ირკვევა ჩვენი გეოინდელი გამარჯვების დიდი მნიშვნელობა. შაპანიში, გერმანელებმა დამით მოახდინეს მტრათ მუწავე კონტრიერისი 196 ნუმრის სიმაღლეზე, მიგრამ იგინი სწრაფათ იქნენ მოგერებული, ამას გარდა აქ დავიჩინეთ პატარა სიერე პერტიდან ტავისის გზაზე. მენილის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ქვეითა ჯარმა გერმანელებს წაართვა ერთი სიმაგრე, დიკაბა ამ სიმაგრეს იქით მდებარე მდლობა, რომელიც პეტრისა ლ მესოიდშაპანის გზებზე არის, დანგრეა ერთი ბლოკ-გაუზი. დანარჩენ ფრონტებზე თითქმის ყველგან ხდება შეტაკება.

ლონდონი. სადმირალო იუწყება რომ გერმანიის წყალქვეშა ნავი „Y 20“ ინგლისის ნაღმოსანმა დაღუპა.



† მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი თ-დ ვარდამ ლეგნის ქე გელოვანი.

სამეიპრის დაუპაპი.

მცხეთა. რედაქციას „სამშობლოს“. გადავიხადეთ პანაშვიდი.

ქრისთავა.

ქ. ნ. გელოვანისა. თფილისის გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღოლებსა და დეპუტატების სახელით გიკხადებთ მხურვალე თანაგრძნობას თქვენზე მოვლენილ უბედურების გამო. ინუგეშეთ იმით, რომ თ-დმა ვარდამ ლეგნის ქემ თავისი ახალგაზრდა სიკაცსლე შესწირა უშაღლეს მოვლენობას — მოყვასათვის თავის განწირვასა და სიყვარულს, სათათბიროს მიერ დავალებულ მოვლენობის აღსრულების დროს. თფ. გუბ. თფ-აზ. წინამძღოლს თანამდებობის აღმასრულებელი თ-დი მისიელ სუშაბაშვილს.

პეტროგრადი. შრომის ჯგუფის სათათბიროს ფრაქცია გთხოვთ გადასცეთ დავუიწყარ თ-დ გელოვანის ოჯახობას ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა და სამძიმარი. შრომის ჯგუფის ფრაქციის მონაწილეობით სათათბიროს წევრა სტეპანოვა.

წალკარი. დიდი მწუხარება ჩემი. გამოწვეული დეპუტატ ვარდამ გელოვანის უღრმოდ გადაცვალების გამო, რომელმაც სათათბიროს ტრიბუნადან პირველმა აუწყა საზოგადოებას ქართველი ერის ნამდვილი გულისსქმა.

გელოვანი კახუნა.

ბაქო. ღრმად დავგანწუხრბ ვარდამ გელოვანის გარდაცვალებამ, რომელიც

სახელმწიფო სათათბიროში იყო გულწრფელი კირისუფალი მშობლიური ერის ინტერესებისა. **თფა აგლაძე, ჯალო ახობაძე.**

ქუთაისი. ქართული გიმნაზია უღრმესად ჰკლოვანს სათათბიროს წევრის ვარდამ გელოვანის ტრადიკულად გარდაცვლებას. **გამგე ოცხუელი.**

გრაპალი. (თ-დ გელოვანს) მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა თქვენზე და მთელ საქართველოზე მოვლენილ უბედურების გამო. ბედისაგან დევნილ ერის სხვა განწირულ შვილებმა ერთა შორის არის თითქმის უაღრესად საგრძნობი მსხვერპლი; საუკუნო განსვენება მისცეს კუჭკოს. დე ეს იყოს განთიადის წინამორბედი ზვარაკი. **თარხნიშვილება.**

პეტროგრადი. მდულარე ცრემლებს ვაფრქვევთ უღრმოდ და ტრადიკულად დაკარგულ ძვირფას თანამაზრე ვარდამის გარდაცვალების გამო. გელოვანობა მშრომელი ხალხისა და სამშობლო ერის უწინდეს უფლებათათვის პატიოსან, დაუღალავ და მხურვალე დამცველის დაკარგვას. **თანამაზრე სტუდენტთა ჯგუფი.**

ბაქო. წერა-კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგებმა უღრმესად დამწუხრბა ქართველი საზოგადოების მძიმე დანაკლისმა, სათათბიროს წევრის ვარდამ გელოვანის უღრმოდ დაკარგვით გამოწვეულმა. იგი იყო ღირსეული წარმომადგენელი ახალგაზრდა საქართველოს

მისწრაფებთა გთხოვთ განსვენებულის ოჯახობას გადასცეთ ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა. **გამგეაბა.**

თ-დ მხატვრ გელოვანს. ნება მიბოძეთ, თქვენ ბრწყინყალებას ქალაქ ტფილისის თვითმმართველობისა და რუსეთის ქალაქთა კავშირის სახელით უღრმესი სამძიმარი გამოგიცხადათ თქვენი შმის თ-დ ვარდამ ლეგნის შის გარდაცვალების გამო, რომელიც იშხვერბლა მოყვასის სიყვარულმა და ჩვენი სახელოვანი მეოპრებისათვის სამსახურმა. ნება მიბოძეთ გთხოვთ, გადასცეთ განსვენებულ თავადის ყველა ნათესავებს უღრმესი თანაგრძნობა. **ქაქაქის მოურავა ალ. სატისოვა.**

ბაქოს მამპალიანთა საქველმოქმედო საზოგადოება, უსამძიმრებს რა ქართველ ხალხს სახელმწიფო სათათბიროს წევრის თ-დ გელოვანის უღრმოდ გარდაცვალებას, რომელმაც დაჭრილთა და ავთმყოფთა მოვლა-პატრონობით წმინდა მოვალეობა შესრულა, თავის მხრით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს. **თავადლო. ასდუღაყევი.**

მამპალიანთა საგანმანათლებლო საზოგადოება „ნაჯაიი“ ქართველ ხალხის მწუხარებას იზიარებს თ-დ გელოვანის უღრმოდ დაკარგვის გამო და საქართველოს შეილთადმი მხურვალე სამძიმარს გამოსთქვამს. **გავია-ბაბა-ბეგოვა.**

მწარე ცრემლს ღვრის ბაქოს მამპალიან ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება ქართველ ხალხის წარმომადგენლის თ-დ გელოვანის უღრმოდ დაკარგვის გამო, რომელიც დაჭრილთა და ავთმყოფთა მოვლა-პატრონობას თავგანწირული სამსახური გაუწია. — დე, ალლახი იყოს ქართლვე დედათა ნუგეში, რომელთაც ღირსეული შვილი დაკარგეს. **გავია-ბაბა-ბეგოვისა.**

მუხლს ვიყრი რანდულათ გადაცვილ ვარდამ გელოვანის ნეშტის წინაშე. ვარდამმა თავისი სამაგალითო მოქმედებით ღრმა პატივისცემა დაიმსახურა ჩემგან, და სწორეთ ეს მისი სამაგალითო მოქმედება შეიქნა მისი უღრმოდ სიკვდილის მიწეზე. დღედან ჩემთვის არაჩვეულებრივი მნიშინდებლობა აქვს ჩვენი ქვეყნის პატარა კუთხეს — ლეჩხუმს, სადაც დიბადა და გაიზარდა ის ვარდამი, რომელსაც ქრელ-ქრელსა და აფერადებულ სიტყვებზე უფრო საქმე უყვარდა. სამშობლოს სამსხვერპლოზე დიდებული მსხვერპლია ვარდამი, და ღრმათა მწუხმს, დიდებულ მწერკრალს დიდებული შვილები ექნება. **ქ. ჭნუკაძე.**

ბალახანის შოთა რუსთაველის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველთა სამსახურს დაუკავშირებლად გლოვს ქართული ენის წარმომადგენლის ვარლამ გელოვანის უდროვო გარდაცვალებას. სასოწარმოველია ტრაგიკული ბედი იმ სახალხო წარმომადგენლისა, რომელმაც პირველმა აღიმაღლა ხმა უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში

და გმირულად შესწირა თავი მოყვასის სიყვარულს.

მზრუნველი კომიტეტის წევრები: შაბა კანსტანტინე შანიძე, ს. ლეკვიშვილი, ქაბა: მარამ თაყაიშვილი, ვერ კოსტავასი. მარა გარდაცვლილია ნ. მესხი, სილაგან დასკუნძიანი, პეტრე ანთუაფა, ილია მჭავრავანი და ბეს. თაყაიშვილი.

ს ი ტ ყ ვ ა

აქვე 25 თებერვალს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, პანაშვიდზე.

ბატონებო!

ვარლამ გელოვანი, რომლის სული ამ წუთში უფალს შევადრებთ, იყო სრულმადლობით ახალგაზდა, სულ 35-37 წ. იგი ქარმაგი და ხორციელად ჯანსაღი ადამიანი იყო. ამიტომ მთელი მისი არსება, მისი მიხვარა-მოხვარა და საქციელი ცხადად მეტყველებდა, რომ მას სიცოცხლე და ცხოვრება სწყუროდა. ამასთანავე იგი შთამომავლობით, მდგომარეობით და განათლებითაც უზრუნველყოფილი იყო, რათა თავისი პირადი ცხოვრება სანებებროთა და საღიბოთ მოეწყო. მაგრამ ბედმა ასე არ არგუნა.

მისი შინაგანი სულიერი არსება წინა აღუდგა, ამ გზას დადგამოდა, ამით ეცისკროვნებდა თავისი სიცოცხლე. იგი გულწრფელი ადამიანი იყო, ამავე დროს კაცობრივად მთლიან ანთებულ. ამ ორმა სულიერმა მდგომარეობამ მონაბეგრება, იგი ვახსნა გაბედულ და გულწრფელ დემოკრატად. ამ მოთხოვნით კი იგი აიძულა, გამოსულიყო მედგარ დამცველად დაბნელებულის, უფლებამაყრილი ეროვნებისა და „შრომის შეიღობისა“. ამ ორი რწმენით აღტყინებული, იგი ვანშროდა იმ გზას, რომელიც მისთვის წინდაწინვე გამოადგმოდა იყო, და იგი იმ წრეს, იმ ჯგუფს მიემხრო, სულით და გულით მიენდა, რომელიც ამ ორ პრინციპს აერთებდა, მტკიცედ განუწყობდა აკავშირებდა.

ამის შემდეგ მისი გზაც ცხადი და გარკვეული შეიქნა. არც გადაუხვევია მას ამ გზაზე. იგი პირველი იყო, რომელმაც სათათბიროს ტრინუნიდან მთელ რუსეთს, მანაშაღამე, მთელ ევროპასაც ცხადად და გარკვევით თვალწინ წამოაჩვენა თავისი ენის დაბეჭდვება, და მოითხოვა, რომ ეს ერიც, სხვა ერებთან ერთად, სწორად უნდა შეიქნენ. ეს მისწრაფება, ეს იდეალი, მის მიერ სინათლის სიკვანძე გამოტანილი აღარ ვაპქრება და კიდევ განხორციელდება. მაშინ კი ეს ახალი საქართველო მას, ვარლამ გელოვანს, მეტი მოწონებითა და მეტი მადლობით მოიგონებს. ჩვენც ამიტომ გვმართებს, მისი მადლობელი ვიყოთ.

ამ გზაზე შემდგარს, უეჭველია, ბევრი დამბარკოლებელი გარემოება შეხვდებოდა. მაგრამ იგი მუყაითობით, დიდი დაკვირვებით და თავისი რწმენით ანთებულ სულით მედგარად თანდათან უკაფავდა ნიადაგს ამ მისწრაფებას, ამ იდეალს. მისი ფაქიზი ხასიათის ბრალია, რომ მან გაფართოვა ამ რწმენის, ამ თავისი და მთელი ერის მაცისკროვნებელი ზრახვის მომხრეთა და მხარის დამკვირვებელი. ამიტომ მისი ღვაწლი ამ მხრით სათაყვანებელია და ფასდაუდებელი. იგი პირველი მერცხალია ახალი საქართველოს გაზაფხულისა.

მაგრამ ამავე დროს იგი გულწრფელი და აღიარებულად აღმასრულებელი იყო თავისი მოვალეობისა თავისი სამშობლოს წინაშე. მისი ღრმა რწმენით, მთელი სახელმწიფოს შეურაცხყოფელი ამავე დროს შეურაცხყოფელი იყო მისი

ერისა. ამიტომ იგი აშკარად და უკუყვანით შეუდგა ამ თავის მოვალეობის აღსრულებას. კარგათ იცოდა, რომ ამ დიდი მოვალეობის ასრულება მას სპირადოს არასა უზღვევდა. მისი პირადი ცხოვრება და მისი ოჯახის მომავალი ამ დღიდან ბეწვზე კვდა. მაგრამ ამას რაღა შეუშინდა, როდი შეუტრია: მისმა გულწრფელმა და გაბედულმა ხასიათმა

ამ მოვალეობის შესრულება მტკიცედ აკისრებია. ყოველ წუთში იმ მოლოდინში უნდა ვყოფილიყავით, რომ იგი ტრადიციულად განუტყვევდა სულს და წმინდა სამსხვერპლობზე, წმინდა დაიწყო. ავტო, რომდენიმე კვირის წინათ არ იყო, რომ მის გარშემო, როცა იგი კაცობრივად მოვალეობას ასრულებდა, გახურებულ ტყეებს ზუზუნი გაჰქონდა.

ამ თვისი უდროვო სიკვდილით კი მან ცხადყო თავისი ხასიათის სიმტკიცე და გულწრფელობა. ამით მან განისპეტაკა თავი ყოველი ეპიკურისაგან და აშკარად უთხრა მათ, ვისაც ეჭვი შექნდა მის ზნეობრივობასა და ადამიანობაში, ავ—ენანო, ოდეს დასცხრეთ, მოასვენოთ ეზღონ სული!

ჩვენთვის კი ვარლამ გელოვანი ამ დღიდან მისაბაძი მაგალითი შეიქმნა გულწრფელი საეროგონო მოღვაწისა, რომელიც აცისკროვნებდა სპეტაკი და ნათელი მისწრაფება, ეროვნებათა და მშრომელთა გამავეითებლობილებელი და განმაკაცებელი. ამიტომ ჩვენც გვმართებს, მისი მადლიერი და მადლობელი ვიყოთ საუკუნოთ იმ იმედით, რომ

Не бездарна та природа,
Не погибъ еще тотъ край,
Что выводитъ изъ народа
Столъ славнаго, то и знай.

ი. ფანცხავა.

ს ი ტ ყ ვ ა

(წარმოთქმული ვარლამ გელოვანის მიერ სახელმწიფო სათათბიროში 1912 წლის ნოემბერში).

ბ. ბ. მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანე იმ უბრალო აზრის საილიუსტრაციოთ, რომ ისეთ მხარეში, როგორც რუსეთში, რომელიც მრავალ ეროვნებათაგან შედგება ყოველგვარ პოლიტიკურ თავისუფლებას, ყოველგვარ სახელმწიფოებრივ წესების გარდაქმნას ექნება რთული, მრავალფეროვანი ხასიათი, რათა სახელმწიფოებრივ რეფორმებს ექნეს არა მოხერხებითი, არამედ რეალური მნიშვნელობა. ჩვენ, ქართველები რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნას, იმდენად დავაფხვებთ, რამდენად ეს გარდაქმნა ჩვენს არსებით საქაროვებთ გვერდს არ აუვლის და რამდენად იგი ჩვენს საზოგადოებრივ პოლიტიკურ წყლებს განკურნავს. მე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს აღვიარო, რომ ქართველებს არსებითად არა გვაქვს არავითარი პოლიტიკური ანგარიში არც რუსეთის ინტელიგენციასთან, არც, მით უმეტეს, რუსის ხალხთან

ას წელზე მეტია, რაც საქართველო თავისი სურვილით შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთის დამკვიდრებას ამიერ კავკასიაში. შეუერთდა რა თავის ნება სურვილით განსაზღვრული ხელშეკრულებით, საქართველოს სრული უფლება ქონდა რუსეთის ბიუროკრატის პოლიტიკურ კეთილსინდისიერებას მინდობოდა,

მისი სიციფროვე ქართველი გლეხობისა, საერთოდ ცნობილი ფაქტია. საქარისა ვაფხვანთ, რომ თუ ევროპის რუსეთში გლეხების კუთვნილება სამოთხ დესიატინა მიწას უდრის, საქართველოში გლეხის საკუთრება 0,73 დესიატ. უდრის; განთავისუფლების დროს ქართველმა გლეხმა ხუთჯერ იმაზე ნაკლები მიწა მიწა, ვიდრე რუსის გლეხმა. ამგვარსავე მდგომარეობაში არიან ევროპულბული სახაზინო გლეხებიც. თუ რუსეთის ბიუროკრატია მანდელლო გლეხებმა მემამულეთა სასარგებლოთ ისევე დეწინა სახაზინო გლეხებსაც ხაზინის სასარგებლოთ. ქართველი გლეხობა იძულებულია სხვა საქმეში ეძებოს რამე; ხშირად რკინის გზებზე იწყებენ მუშაობას,

წარმოადგინეთ ბრწყინვალე ქართველი აზნაურობაც—კი, რომელსაც ერთ დროს მთავრობაც მფარველობას უწყევდა, ამ ქვათ

სრულ სილატაკემდია მისული, მათ დაკარგეს მიწები, მაგრამ ეს მიწები ქართველ გლეხთა ხელში კი არ გადასულა, არამედ ხაზინის ხელში, საუკუნის მიერ მინაქებული გამოცდილების მოხებით ქართველმა ერმა შეიგნო, რომ რამდენად უფრო მეტად იყო იგი დამიდებელი რუსეთის მთავრობის კეთილსინდისიერებაში, რამდენად იგი მიენდა რუსეთის მთავრობის სიბრძნეს და მოთმინებით იტანდა ყველა

ფერს, მცხოვრებთა მოლოდინს, მისდამი უყურადღებობას წარმოება, ხალხის მოთმინება— და ასე მთელი ასი წლის განმავლობაში.

ბ. ბ. სახელწიფო სათათბიროს წევრო, არც ერთ ერს არ შეუძლია თავის ნებით, უდრტინველად და უსაყვედუროთ გაემართოს თავისი თავის მოსპობის გზით, თავისი სიკვდილისაკენ, ხოლო მეორე მხრით, არც ერთ ერს არ შეუძლია ფეხზე წარმოდგეს, არ შეუძლია განკურნება მიიღოს სხვისი წყალობით თუ თავით თავის არსებაში არ გამოინახა ძალი და ნება სიცოცხლისა.

თი, რით იხსნება ქართველი ხალხის მხურვალე წყურვილი თვითმოქცევისა, და ამ წყურვილს გამოსასვლელი გზა უნდა მიეცეს, თუ არა ესურთ, რომ ეს ენა სიკვდილის პირს მიიყვანოთ. მე უკვე მკონდა ბატონი მეტევა, რომ ჩვენ დაშორებული ვართ იმ აზრს, რომ ჩვენ საერთო სამშობლოს, რუსეთის, მთლიანობას ძირი გამოუთხაროთ, მაგრამ სწორედ ამ მთლიანობის ინტერესი მოითხოვს, რომ სხვადასხვა ერებს, რომელნიც დიდ რუსეთში შედიან, მიეცეს სახარბი და საშუალება იცხოვრონ ადამიანურად, ღირსეული პოლიტიკური ცხოვრებით. ამასთვის ერთადერთი სადი ჰოლიტიკურა სმაგლევა მდგომარეობს ამაში, რა ჩვენ ცხოვრებას ქვეყნებდათ დაქვოს თვითმართველბა, რაგორც საერთო-სამეურნეო,

ის, რაც რუსეთის მმართველობამ ვერ შესძლო, მიეცით ნება შესძლოს თავი ხალხმა, საზოგადოებამ. ბ. ბ. ჩვენ ასე წლის განმავლობაში ვერწმუნებოდით რუსეთის მთავრობას

აწ ქართველ ერსაც ვრწმუნეთ! იგი რუსეთისაგან გათიშვას არ სცდილობს; პირიქით თავისი მომავალი არსებობის თავდებს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნაში ხედავს; მაგრამ ნება მიეცით მას იცხოვროს ცხოვრებით, იმ ცხოვრებით, რომელსაც მთელი რუსეთი შენატრის.

ბ. ბ., ნ დეკემბერს თქვენ ერთსულოვნად ტრამ უკრავდით მინისტრთა სამკოს თავმჯდომარეს, როდესაც მან ბალკანეთის სლავი ნებისადმი სიმპატიები გამოსთქვა. თუ თქვენ ამ დროს ტომებრივი ნათესაობით არ ხელმძღვანელობდით, არამედ უფრო მაღალი გრძნობითაც, სამართლიანობის გრძნობებით მაშ უნდა ჩვილიც ვაიგოთ ჩემი დაუნდა დამეთანხმობო, რომ ასე წლის განმავლობაში ქართველ ერს ბალკანეთის სლავიანების დღე აღგია და მის ასეთ მდგომარეობაში

მაშ ასე, რაც არ შეძლო გავეთებება რუსეთის ბიუროკრატისა, იმედს მაქვს, მას რუსეთის ხალხი და მათი წარმომადგენლები გააკეთებენ (ტრამსიცმა მარტხნივ).

პარლამენტის ბარდასპა-ღვინის გეგმა.

ერთხელ კიდევ გვიმუხთლა უსამართლო ბედმა და ერთი ჩვენი მოამაგეთაგანი შეუბრალებლად ხელიდან გამოგვტაცა.

აღარ გვყავს პირველი ქართველი დეპუტატი, გმირი მოქალაქე და მოქმეთათვის თავდადებული ადამიანი. მსხვერპლი შევიწირა თავის მოქალაქობრივ მოვალეობასა და ქრისტიანულ სიყვარულის მცნების ასრულებას.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოებამ თავისი ხმები მის ჯგუფსა და მას დაუთმო, რადგან ელოდა, რომ ეროვნული დასის წარმომადგენელი სათათბიროში საქართველოს ისტორიულ უფლებას დაიცავდა.

და ვარლამ გელოვანმა ჩვენი მოლოდინი სავსებით გაამართლა და პირველსავე თავის სიტყვაში სწორედ ის სიტყვა, რომლის უთქმელობაც აუცილებელი იყო, და შედგებაც არა ერთჯერ გაიმეორა იგივე.

ამიტომ, რა პოლიტიკურ ჯგუფსაც უნდა მიეკრებოდა, ჩვენ მაინც საქართველოს დეპუტატად, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ ინტერესთა დამცველად გვეგულვებოდა ის!

დილა! დღია მისი ღვაწლი ამ მხრით, მაგრამ არა ნაკლები სარგებლობა მოუტანა მან ქართველ ერს თავისი პირადი, ადამიანური ღირსებით. ვარლამ გელოვანმა დაუხატა რუსეთის საზოგადოებას იდეალი რა დღელი ხასიათისა, მათადმი სიყვარუ-

ლისა და თავგანწირულობისა, ადამიანურ გულკეთილობისა, მიმხადველობისა და სიცოცხლის სიჭარბისაგან მომილი მხიარული გუნებისა, რომელიც ახასიათებს ქართველის ბუნებას. დილა! ვარლამი ქართველი კაცის ბუნების გამოხატულებას წარმოადგენდა და რუსეთმა მისი სახით მთელი ქართველი ერი სისწორით გაიცნო!

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, საქართველოს თავდადებული გმირო! იცოდე, რომ, რაც დასთვიე, უთოოდ აღმოცენდება და საუკუნოდ იქნება ხსენება შენი. **ბლადიმინა იასკე წერეთელი.**

ჩ ა დ ა ა შ ი ი ს ა გ ა ნ .

გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ქალაქის თავის სიტყვაში, რომელიც რუსულთა იყო წარმოთქმული ზოგიერთი წინადადება არ არის ზედმიწევნით გადათარგმნილი.

დაბეჭდილია: „ტრიბუნალის“ მაგივრად უნდა იყოს „ტრიბუნი“.

„მოვისხენოთ სახელი დიდებული კაცისა“, უნდა იყოს: **მოვისხენოთ „სახელი დიდებული კაცისა“.**

... ასე უდროოდ შესწავლა დიდებული ახალგაზდა სიცოცხლე“, უნდა იყოს: **„ასე უდროოდ შესწავლა მშვენიერა ახალგაზდა სიცოცხლე“.**

ახალი ამბავი.

გუშინ, დღის მატარებლით თბილისიდან ჩამოსვენეს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრის თავად ვარლამ ლევანის ძის გელოვანის ნეშტი. ნაშუადღევს პირველ საათზე მიცვალბულს პანაშვილი გადაუხადეს ადგილობრივ საკათედრო ტაძარში, რის შემდეგაც დღის ამბით ლენხუში წაასვენეს.

25 თებერვალს, ნაშუადღევს 1 საათზე, ჩვენმა რედაქციამ და ქუთაისის ყველა საზოგადო თუ კერძო დაწესებულებებებმა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვარლამ ლ. გელოვანის სულის მოსახსენებლად საკათედრო ტაძარში პანაშვილი გადახადენეს. პანაშვიდს შემდეგ შესაფერი სიტყვა წარმოთქვა სათ. ახნაურო ბანკის დირექტორმა ბ. იაკობ სპ. ფანცხავამ, რომელმაც დაახასიათა დეპუტატის მოღვაწეობა. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

საფრანხის მომავალი სამკითხველოს მზრუნველმა კომიტეტმა ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობას თხოვნა მიცა, რათა გამეგობა იშუამდგომლოს მთავრობასთან საფრანხზე სამკითხველოს გახსნის შესახებ.

ტრალიკულთა გადაცვალბულის დეპუტატის, ვარლამ გელოვანის, ხსოვნის პატივისცემლად შემდგარ კრებაზე, ბლახანის შოთა რუსთაველის წიგნსაცავ სამკითხველოს მართველმა კომიტეტმა დეპუტატის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა. კრებამ შემდეგი დადგინა:

გიაგზავნოს ადგილობრივ გაზეთში თანაგრძობის წერილი და სამკითხველოს მთელმა შემადგენლობამ მონაწილეობა მიიღოს პრაქტისაში, როდესაც მიცვალბულს სადგურიდან ლენხუში წაასვენებენ.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი პეტროგრაფიდან უკვე დაბრუნდა.

დღეს, 27 თებერვალს, ქალაქის თეატრში კიტა აბაშიძის თავმჯდომარეობით გაიმართება სალიტერატურო კამათი. გარჩეულ იქნება ალექსანდრე შან შაშვანის ახალი პოემა „ქალი გრძნული“. კამათში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირები: დ. უზნაძე, კ. ანდრონიკაშვილი, ია-კალაძე, ალ. ჯანელიძე, ტ. ჯაფარიძე, გ. გიორგაძე, ტ. მარგველაშვილი, შ. სანელიძე, ი. ფანცხავა, ა. ფალავა, ი. ჩიქოვანი, გ. ლალიძე, ს. რობაქიძე და სხვა.

დღეს, ქუთაისში გაიმართება ბარათების ყიდვა, რომლის შემოსავლიც მობზარდება ჯარისკაცთათვის დასამზადებელ თეთრულობას.

როგორც დ. ყვირილიდან გვერენ, იქ ამჟამათ ძლიერ გავრცელებული ყოფილა ხსენდასხვა ავადმყოფობა. უემქობით ხალხი ძლიერ შეწუხებულია.

რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ქურნალის თებერვლის მორიგი მესამე ნუმერი. ეურნალი ჩვეულებრივთაა გამოცემული.

კატო გიორგის ასული კობახიძე გვთხოვს გამოაცხადოს, რომ 24 თებერვალს, პუშკინის ქუჩაზე, პირველი პორტმანი, რომელშიც აღმოჩნდა მისი და 14 კაპ. ფული დასაწყველად, პატრონი ამ ნივთებს მიიღებს შემდეგი მისამართით: ვაზაშვილის გორა, პაპუაშვილის სახლი, კატო კობახიძის ქვლთან.

როგორც სოფ. ობდელიდან (ლენხუის მაზრა) გვერენ, ამ მოკლე ხანში, იქ აპრსენენ საკრედიტო ამხანაგობას.

თ მ ა ტ რ ი .

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა შეუდგა მზადების ცნობებით დრამატურგის დავით კლდიაშვილის ახალი ორიგინალური პიესის „უმბელურება“-ს, ტრაგედია ჩვენის ცხოვრებიდან, და ახალი ორიგინალურს პიესას კონ. ანდრონიკის „სიზმარი კოშკში“.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი დაბრუნდა სენაკიდან, სადაც ინახულა პატრეცემული დრამატურგი დ. კლდიაშვილი, თავისი ახალი პიესის „უმბელურების“ დასადგმლად. ამ პიესაში უმთავრესი როლის შესასრულებლად მოწვეული არის მსახიობი ვალ. შალიკაშვილი. ინატება ახალი დეკორაციები, რის მხრითაც ჩვენი თეატრი ძლიერ დარბობი არის.

გუშინ, საღამოს რეპერტუარზე, როცა გადიოდენ დ. კლდიაშვილის ახალი ორიგინალურ პიესას „უმბელურება“-ს დაესწროთ თვით-ავტორი, მოიწონა, რეჟისორის კ. ანდრონიკაშვილის მიერ შემუშავებული მიზან-სცენები პიესის დასადგმლად, უსურვა დასს მხნეობა, მეტი ენერჯია და კმაყოფილება დასტოვა სცენა.

თეატრის სახელსწარმო მხატვარი დეკორატორი ს. ქელიძე შეუდგა დეკორაციებ-შეკეთება-შეღამაშებას, დ. კლდიაშვილის პიესისათვის. ინატება ჩვენი სოფლის ღობე და ქობი.

დ. კლდიაშვილის ახალ პიესაში „უმბელურება“ უმთავრეს როლს შესასრულებს ბ. ვალ. შალიკაშვილი. იმ საღამოს მეორე ორიგინალურ პიესაში „სიზმარი“ კოშკში, უმთავრესი როლი მინდობილი აქვს ბ. შალიკაშვილს.

ხ ა ა ს ო ფ ლ ი ა ნ .

(აჭარლების შესახებ) ✓

აჭარაში მცხოვრებ ჩვენს თანამომე ქართველ მაჰმადიანებს, ჩვენდა სამარტვიანთ, ჩვენ ნაკლებს ყურადღებით ვეპყრობით. დღემდე ამ მაჰმადიანებს ვერაფერი ვერ გავუკეთეთ, ვერ მივეშველეთ ქარში და ვერ გავუწიეთ ნაშლინი ძმობა. ისინი დახმარებას ითხოვდენ ჩვენგან, როგორც უფრო სწავლულ და განვითარებულ ძმებისაგან.

რუსეთის პრესასთან ერთად მათ გაქვირებაზე ჩვენმა პრესამაც ხმა ამოიღო, მაგრამ სიტყვის მეტო, საქმით ჯერ არა გავეთებულა რა.

გვჩვევა აფხაურადეთ, ორი სამი პრეტელი სიტყვა ვსთქვათ და შემდეგ მივყურდეთ. დროა ახლა მაინც განთავისუფლდეთ ამ მავნე ჩვეულებისაგან. ცარიელ სიტყვებით ვერავის ვერ დავებმარებით, აუცილებლად საქაროა საქმით დახმარება გაქვირებაში მყოფ ძმების, ვინაიდან მათი გაქვირება საქმით დახმარებას თხოულობს. ამისათვის საქაროა შეექმნათ რაიმე ორგანიზაცია და დავებმართა და დარიგებებთ. ჩვენი თანამომეების გაქვირებას, რომ გულზე ხელ დაკრფილი და დამშვიდებული ვუტყვიროთ—ჩვენთვის მიუტოვებელი დანაშაული იქნება. დღეს ისეთი დროა, რომ ყოველ მოვლენას ფხიზელი ანგარიში უნდა გაუწიოთ, თორემ ვინმე ჩავყვლაშავს და ან საგარდნო ზიანს მოგვაყენებს.

დღეს ყოველი ერის ინტელიგენცია გამოხებულა და ღირსეულ დარაჯობას უწყევს თავის ერს. შორს რომ არ წავიდეთ, სომხების მაგალითს მაინც მივხედოთ. მათ ცა და ქვეყანა შესძრეს თავის თანამომე ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხების ამბებით და მილიონებით შეაგროვეს ფული.

მოვიდეთ ჩვენც ჩვენს მხებთან-ქართველ მაჰმადიანებთან ამ გაქვირების დროს, მივიდეთ და მათი ქარი ჩვენ ქართ გავიხადოთ.

ქართულ გაზეთებსაც მართებთ მეტი ყურადღების მიპყრობა ქართველ მაჰმადიანებისადმი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბევრი ჩვენთაგანი არ ვცნობთ მათ. აუცილებლად უნდა ინტელბოდეთ მათი წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ვრცელი ცნობები. დაუყოვნებლოდ უნდა გავიზავნოს აჭარაში სპეცია-

